



# შირაქი

## SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოცემის 1937 წლიდან  
დაღოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№25 (9.787)

1 - 8 ივლისი 2017 წელი  
ფასი: 50 თეთრი  
ყოველკვირეული გამოცემა



**მ.მ.მ**  
დაღოფლისწყაროში  
ბარემოსდაცვით  
თემებზე  
ტრენინგები  
ჩატარდა

## ალობა და უსვი მოსავალი შირაქში



მ.მ.მ

ლევან ღვინიაშვილი: „თანამედროვე სტანდარტების ტექნიკა სრულადაა კახეთში მობილიზებული და აქტიურად მიმდინარეობს მკის პროცესი.“  
ირაკლი შიოლაშვილი: „სახელმწიფოს სურვილია, არა მარტო ერთჯერადად ან ქირით უზრუნველყოს ტექნიკა ფერმერებისთვის, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში შექმნას სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მომავალი წლიდან დაიწყო და ფერმერებს კომპანიების შესყიდვაში დაეხმარება.“



მ.მ.მ

ინფრასტრუქტურული  
სამუშაოები  
ქაღვის  
ზონაში



მ.მ. მ

ცეკვით  
განფენილი  
ქართული  
გენია

## ტექნოლოგიური — ჯანმრთელობისა და მოძრაობის უსაფრთხოებისთვის



მ.მ.მ.4



მ.მ.მ.2

ეს უკვე  
მატიანეა

## „ჩვენი შექსპირი“



მ.მ.მ.5

## ვინ გამოიგონა სპინერი?



მ.მ.მ.8



# ალოობა და უხვი მოსავალი შირაქში ფერმერები ფასით უკმაყოფილები არ არიან

კახეთში ალოობა დაიწყო. ჯერ გვალვის, შემდეგ კი ჭარბი ნალექისა და სტიქიების მიუხედავად, რეგიონში მარცვლეული კულტურების კარგ მოსავალს ელოდებიან. შექტარზე საშუალო მოსავალი 4 ტონაა. ფერმერები ტექნიკის სიმცირეზე საუბრობენ და ამბობენ, რომ შესაძლოა, კომბაინების დეფიციტი შეიქმნას.

შპს „მექანიზატორის“ ცნობით, კახეთის რეგიონში 80 კომბაინი მუშაობს, მეტი რესურსი სახელმწიფოს არ აქვს. საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლება ტექნიკის შემოყვანას გასული წლის მსგავსად აზერბაიჯანიდან გეგმავს.

დედოფლისწყაროში, შირაქის ველზე ალოობის დაწყებას სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი და პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი შიოლაშვილი დაესწრნენ. მათ ნაკვეთების მავნებელი კალას სანინალბეგო წამლობის პროცესიც მონაწილეობს.

წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ხორბალი და ქერი 32 000 ჰექტარზე დათესილი.

ლევან დავითაშვილი (სოფლის მეურნეობის მინისტრი): „სრულადაა მობილიზებული სახელმწიფო ტექნიკა. უნდა ითქვას, რომ წელს ნათესი ფართობების ოდენობა საერთო ჯამში გაზრდილია. კლიმატური პირობები დიდწილად სახარბიელო იყო. სეზონის დასაწყისში გვექონდა გარკვეული პრობლემები უამინდობასთან დაკავშირებით, თუმცა შედეგი გვიჩვენებს, რომ ვითარება მნიშვნელოვნად გამოსწორებულია. იმედოვნებ, ალოობის მსვლელობის პერიოდშიც ამინდი ხელს შეგვიწყობს და არ გვექნება დაბრკოლებები. თანამედროვე სტანდარტების ტექნიკა სრულადაა კახეთში მოპოვებული და ავტომატურად მართვის სისტემების გამოყენება, ორგანიზებულია და მალაღონეზე მოვახერხებთ წლიდან წელი უხვი მოსავლის დაბინავებას“.

ირაკლი შიოლაშვილი (კახეთის გუბერნატორი): „წელს ბუნებრივმა პირობებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, რომ მარცვლეულის მაღალი მოსავალი მიგველო. ალოობის პროცესში ერთერთი მთავარი ფაქტორია ისიც, რომ სახელმწიფო კომპანია „მექანიზატორი“ ძალზე გამართულად მუშაობს და სწორად ორგანიზებული ალოობის პროცესი. იმავე მამს, ყველა ფერმერს მიეცემა საშუალება დროულად მიიღოს ტექნიკა და უდასაპარგოდ, უმოკლეს ვადავში შეძლოს მოსავლის აღება. ავადმყოფად, განვიითარების პროცესში გვიჩვენებს იმასაც, რომ თავის მხრივ საჭიროა ტექნიკის ოქროსი გაზრდა და გეგმიური შეკეთება“.

ამ დროში. სწორედ ამიტომ, ხელისუფლება და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სამომავლოდ გეგმავს სპეციალური პროგრამა შეიმუშაოს, რომელიც საშუალებას მისცემს ფერმერებს გაერთიანდნენ და სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში უკვე საკუთარებაში შეიძინონ კომბაინები და აღარ იყვნენ დამოკიდებული დაქირავებულ ტექნიკაზე. აღარ იყოს რიგები და შეყოვნება. სავარაუდოდ ეს პროგრამა მომავალი წლიდან ამოქმედდება. როცა ფერმერს საკუთარი კომბაინი ეყოლება, რომლის ღირებულება ასეულობით ათას ლარს აღწევს, მეტ დამოუკიდებლობას მისცემს მინათმოქმედებს. ისინი მეტად მოქნილები იქნებიან და ბიზნესის განვითარებას შეეწყობა ხელი. ასე რომ, ჩემი აზრით, წლიდან წელი ალოობა, მკათათვე ოპტიმიზმის თვალსაზრისით, მომავლისკენ გადადგმული საიმედო ნაბიჯია.“

ირაკლი შიოლაშვილი (პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე): „ვულოცავ ჩვენს მოსახლეობას უხვ მოსავალს, მართლაც ბარაქიანი წელი გამოდგა. ვისურვებ, რომ მომავალი წლებიც ასეთივე იყოს. რომელ ნაკვეთებშიც ვიმყოფებოდით, 4-5 ტონას აღწევდა მოსავლიანობის მაჩვენებელი, რაც იმის ნიშანია, რომ კარგი მოსავალი მოვიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ღამე-ღამე უხვად გვაქვს მოსავალი ოქროსი კომპლექსურად იზრდება და ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტშიც. ჩვენ უკვე აღარ გვაქვს იმის აუცილებლობა, რომ უცხოეთს მივყიდოთ ან მივაპირაპროთ მიწის ნაკვეთები, თანადავად გვაქვს იმის რაშარა, რომ თავად მოვუაროთ ჩვენს მიწას. დამუშავებული ფართობების ზრდას განაპირობებს ისიც, რომ სახელმწიფომ არაერთი ხელშეწყობის პროგრამა განახორციელა, რაც წარმატებული აღმოჩნდა. ამას გარდა, კონსტიტუციური ვდებთ ნორმას, რომ მხოლოდ ქართველებმა დაამუშაონ ჩვენი ტერიტორიები. სახელმწიფოს ჩართულობა ალოობის პროცესში იქნება ძალიან მაღალი, კომბაინების თვალსაზრისით მობილიზებას გავაკეთებთ და თუ დანაკლისი გვექნება, გასული წლის მსგავსად შეფერხების თავიდან ასაცილებლად ოპერატიულად ვეცდებით ტექნიკა დროებით აზერბაიჯანიდან შემოვიყვანოთ, რათა ყველა გლეხს მიეცეს საშუალება, დროულად მოიქვას თავისი ყანა. გარდა ამისა, სახელმწიფოს სურვილია, რომ არა მარტო ერთმანეთს დაეხმარებოდნენ, არამედ ერთმანეთს დაეხმარებოდნენ, რათა ერთმანეთს დაეხმარებოდნენ და ერთმანეთს დაეხმარებოდნენ“.

და არის მზაობა, რომ შემდგომში პროგრამა, რომელიც თანადავინანსების პრინციპით ფერმერს სახელმწიფო დახმარებას, რომ შეძლოს ახალი ტექნიკის შეძენა.“  
დავით გონაშვილი (ფერმერი, „მექანიზატორის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრის უფროსი): „აპრილში უამინდობა იყო, დიდი გვალვა გვექონდა. მაისში კი პირიქით, საკმაოდ უხვი ნალექი მოვიდა და ამან გაფუჭებული ნათესები შედარებით გამოასწორა. უფრო მეტსაც გეტყვით, ზოგ შემთხვევაში შარშანდელზე უკეთესი მოსავალი ფიქსირდება. ამ წუთასაც ქერს ვიძიებ და 5 ტონაზე მეტი გაასწორა ერთ ჰექტარზე. ეს კი ქერისთვის საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. რაც შეეხება ტექნიკის სიმცირის საკითხს, გვეჭირს კომბაინები, მაგრამ ალაზნის ველზე უკვე სრულდება პროცესი, იქიდან ამოვა ტექნიკა და ამოგვეშვებება. ამ ეტაპზე ქერის მკის პროცესს შპს „მექანიზატორის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრი თავისუფლად განვდებ, ხორბალიც რომ აქტიურად დაინახება, შესაძლოა მერე პრობლემა შეიქმნას, მაგრამ სხვა ფართობებიდან გადმონაცვლებული ტექნიკის იმედოდ ვართ და ალბათ ყველაფერი კარგად იქნება.“  
ვანო ნატროშვილი (ფერმერი): „მიუხედავად კლიმატური პირობებისა, უხვ მოსავალს ვიღებთ, შპს „მექანიზატორის“ თანადგომით დროულად ვაბინავებთ მარცვლეულს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა უწყებას და ადამიანს მხარდაჭერისთვის. ყურადღებას ვგრძნობთ და იმედიანად ვართ. დღეს 100 ჰექტარამდე ფართობი ავირეთ და საშუალო საშუალო მოსავლიანობა 4 ტონაზე მეტს შეადგენს. წლიდან წელი სეზონის ამინდის გათვალისწინებით, ეს საუკეთესო მაჩვენებელია და უკმაყოფილო არ ვარ.“  
ნიკოლოზ ჯანაშიაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი): „უხვი მოსავლით დავიწყებთ წლიდან წელი ალოობა და ბარაქიანი მოსავალია. მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხულზე ძლიერი ქარები იყო და ნაკვეთების დაზიანება გამოიწვია, შემდეგ უკვე გვალვა და მოგვიანებით უხვი ნალექი დაემთხვა, რამაც მოსავლის მდგომარეობა რადიკალურად გააუმჯობესა და მიხარია, რომ ამინდმა ხელი შეგვიწყო. მოსავლიანობის მაჩვენებლის მიხედვით ჯამში დაახლოებით ისეთივე მონაცემები გვექნება, როგორც გასულ წელს დაფიქსირდა. მაღლობა ღმერთს, ამინდებმა გაზაფხულზე არსებული ხარვეზები გამოასწორა და

და არის მზაობა, რომ შემდგომში პროგრამა, რომელიც თანადავინანსების პრინციპით ფერმერს სახელმწიფო დახმარებას, რომ შეძლოს ახალი ტექნიკის შეძენა.“

დავით გონაშვილი (ფერმერი, „მექანიზატორის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრის უფროსი): „აპრილში უამინდობა იყო, დიდი გვალვა გვექონდა. მაისში კი პირიქით, საკმაოდ უხვი ნალექი მოვიდა და ამან გაფუჭებული ნათესები შედარებით გამოასწორა. უფრო მეტსაც გეტყვით, ზოგ შემთხვევაში შარშანდელზე უკეთესი მოსავალი ფიქსირდება. ამ წუთასაც ქერს ვიძიებ და 5 ტონაზე მეტი გაასწორა ერთ ჰექტარზე. ეს კი ქერისთვის საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. რაც შეეხება ტექნიკის სიმცირის საკითხს, გვეჭირს კომბაინები, მაგრამ ალაზნის ველზე უკვე სრულდება პროცესი, იქიდან ამოვა ტექნიკა და ამოგვეშვებება. ამ ეტაპზე ქერის მკის პროცესს შპს „მექანიზატორის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრი თავისუფლად განვდებ, ხორბალიც რომ აქტიურად დაინახება, შესაძლოა მერე პრობლემა შეიქმნას, მაგრამ სხვა ფართობებიდან გადმონაცვლებული ტექნიკის იმედოდ ვართ და ალბათ ყველაფერი კარგად იქნება.“

ვანო ნატროშვილი (ფერმერი): „მიუხედავად კლიმატური პირობებისა, უხვ მოსავალს ვიღებთ, შპს „მექანიზატორის“ თანადგომით დროულად ვაბინავებთ მარცვლეულს. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა უწყებას და ადამიანს მხარდაჭერისთვის. ყურადღებას ვგრძნობთ და იმედიანად ვართ. დღეს 100 ჰექტარამდე ფართობი ავირეთ და საშუალო საშუალო მოსავლიანობა 4 ტონაზე მეტს შეადგენს. წლიდან წელი სეზონის ამინდის გათვალისწინებით, ეს საუკეთესო მაჩვენებელია და უკმაყოფილო არ ვარ.“  
ნიკოლოზ ჯანაშიაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი): „უხვი მოსავლით დავიწყებთ წლიდან წელი ალოობა და ბარაქიანი მოსავალია. მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხულზე ძლიერი ქარები იყო და ნაკვეთების დაზიანება გამოიწვია, შემდეგ უკვე გვალვა და მოგვიანებით უხვი ნალექი დაემთხვა, რამაც მოსავლის მდგომარეობა რადიკალურად გააუმჯობესა და მიხარია, რომ ამინდმა ხელი შეგვიწყო. მოსავლიანობის მაჩვენებლის მიხედვით ჯამში დაახლოებით ისეთივე მონაცემები გვექნება, როგორც გასულ წელს დაფიქსირდა. მაღლობა ღმერთს, ამინდებმა გაზაფხულზე არსებული ხარვეზები გამოასწორა და



ეს მოსავლის შედეგზეც მნიშვნელოვნად აისახა, ამიტომ გლეხები უკმაყოფილებას გამოხატავენ“.

ეს მოსავლის შედეგზეც მნიშვნელოვნად აისახა, ამიტომ გლეხები უკმაყოფილებას გამოხატავენ“.

ეს მოსავლის შედეგზეც მნიშვნელოვნად აისახა, ამიტომ გლეხები უკმაყოფილებას გამოხატავენ“.

ეს მოსავლის შედეგზეც მნიშვნელოვნად აისახა, ამიტომ გლეხები უკმაყოფილებას გამოხატავენ“.

## ინფრასტრუქტურული სამუშაოები ქალაქის ზონაში

27 ივნისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანაშიაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილთან ერთად დედოფლისწყარო-ქედების დამაკავშირებელ გზაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მოინახულა.

გაცნობებით, რომ მიმდინარეობს დედოფლისწყარო-ქედის დამაკავშირებელი 6 კილომეტრიანი მონაკვეთის მოხრეშვა - რეაბილიტაცია, რომელსაც შპს „სერპარტინი“ ახორციელებს. გამგებლის, ნიკოლოზ ჯანაშიაშვილის განცხადებით, მუნიციპალიტეტის სოფლებთან დამაკავშირებელი გზების პრობლემა აღარ იარსებებს.



## დედოფლისწყაროში გარემოსდაცვითი თემაზე ტრენინგი ჩატარდა

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომადგენლებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში თვითმართვლობის წევრებსა და ადგილობრივ ფერმერებს ტრენინგი თემაზე - „ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა“ ჩაუტარეს.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა გადამწყვეტილების მიმღებ პირთა, ადგილობრივი ფერმერებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის ამ მხრივ ცნობიერების ამაღლება, ასევე ნიადაგის, ლანდშაფტების მართვის მეთოდების გაცნობა.



მასალა მოამზადა ილია მარტყოფლიშვილმა



# „ჩვენ უმესპირი“

დედოფლისწყაროს პირველი, მეორე და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, რომლებიც კულტურის სახლის ახალგაზრდული თეატრის „ბერიკონის“ დასის წევრები არიან, წარმოგვიდგინეს უილიამ შექსპირის ტრაგედიების „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მეფე ლირი“, „რომიო და ჯულიეტა“ მიხედვით პრემიერა „ჩვენი შექსპირი“. ინსცენირება ეკუთვნის და სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია კულტურის სახლის დირექტორი ცარო მარტიასვილი. იგი ხუთი წელია, ახალგაზრდული თეატრის „ბერიკონი“ სამხატვრო ხელმძღვანელია. მის მიერ დადგმული სპექტაკლები: „სტუმარ-მასპინძელი“, „ფიროსმანი“ და სხვა, სრული ანმლაგით იმართება. ასე იყო ამჯერადაც. კოკისპირული წვიმის მიუხედავად, კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზი გადაიჭყადა. ამით იმის თქმა მიხდა, რომ შექსპირის შემოქმედება დღესაც აქტუალურია და მობრძანებულ საზოგადოებას აინტერესებდა, სკოლის მოსწავლეები როგორ გაართმევდნენ თავს შექსპირის პერსონაჟებს. თუმცა, მოდით სპექტაკლის მსვლელობას თანმიმდევრულად მივყვეთ. მოქმედ პირებსა და შემსრულებლებს ამშვენებდათ მხატვარ სოფიო კირვალიძის გრიმი და აქსესუარები და მანანა ნაროზაულის შეკერილი კოსტუმები, თავი მართლა ვერონაში გეგონებოდათ. დასის წევრებმა გააცოცხლეს შექსპირის უკვდავი გმირები. თავად შექსპირის და მეფე ლირის როლი ზედმინევიტ კარგად მოირგო დავით ხუციანიძემ, კასიო და რომეოს დასამახსოვრებელი სახე შექმნა თორნიკე აფციაურმა, დებუტი იყო თეკლა ჯიბლაძის, რომელმაც ბრწყინვალედ განასახიერა კორდილიას როლი „მეფე ლირიდან.“ დასის თითოეული წევრი მაღალი არტისტიზმით გამოირჩეოდა: ჰამლეტი-გიორგი ბენაშვილი,

ჰორაციო-გიორგი მაზიაშვილი, პირველი ბერიკა - თამარ ხუციშვილი, ოფელია, მთხრობელი კატო გვენეტაძე, ლაერტი - მეფე აბრამ ახალაური, დედოფალი, ქალბატონი კაპულეტი-თათული ხუციშვილი, აჩრდილი, ტიბალეტი - გიორგი იაკობიშვილი, ემილია, მთხრობელი ანა დავითაშვილი, იაგო - სოსო კიკლაშვილი, გონერილა - მალვინა ისმაილოვა, რეგინა - ლიკა ბახუტაშვილი, ჯულიეტა - ეთო შარმაზანაშვილი, ძიძა - ანასტასია ყოჩიაშვილი, დეზდემონა - თათია ცისკარაული. მაყურებლის მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა ოტელოს როლის შემსრულებელმა თორნიკე ოზბეთელაშვილმა, იგი შავი, ხუჭუჭა თმებით ნამდვილი მავრი იყო, მისი ოტელო ნებისმიერ პრესტიჟულ თეატრალურ სცენას დაამშვენებდა. თორნიკე და ანასტასია ქორეოგრაფიული ანსამბლის „შირაჟი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე გაბრიელაშვილი) ნამყვანი სოლისტები არიან, მათ გასტროლებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, თურქეთში, საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში თანატოლებთან ერთად დიდი მონონება ხვდათ წილად. კომენტარი ვთხოვეთ საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორს **ეთერ ზურკაძეს**: „მთხრობელ-



მა მარი მოლაშვილმა, მოქმედმა პირებმა და შემსრულებლებმა ერთნაირი დაულაღვი შრომის შედეგად ბრწყინვალე სპექტაკლი შემოგვთავაზეს, ეს მოსწავლეები სკოლაშიც მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან, თითოეულ მათგანს ვულოცავ ამ წარმატებას. ხანგრძლივი ოვაციებიც ამის დასტური გახლდათ“.

სამრეკლოს საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი და კულტურული ღონისძიებების არაერთგზის მონაწილე **ეგული ყოჩიაშვილი**: „დიდხანს ემზადებოდნენ ბავშვები ამ წარმოდგენისთვის. ცარო მარტიასვილმა ახალგაზრდული თეატრი მეორე სკოლად აქცია. ეჭვიც არ მეპარება, რომ თითქმის არცერთ მათგანს მანამდე არ ექნებოდა ნაკითხული შექსპირის ტრაგედიები და ეს სცენარი მათ ცარომ წააკითხა და ზეპირად ასწავლა, შექსპირის ტრაგედიების მოქმედი პირები ახლებურად თვალსაჩინოდ დაანახა“.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა** აღნიშნა: „ექვსი წლის ასაკიდან მასსოფს მე ქალბატონი ცარო, რომელიც არ იცვლება, ისევე ისეთი ახალგაზრდა და ენერგიულია, დღევანდელი პრემიერით ალფრთოვანებული ვარ, მე ვესწრებოდი ასევე „სტუმარ-მასპინძლის“ და „ფიროსმანის“ პრემიერებსაც. შექსპირმა მოლოდინს გადააჭარბა, სპექტაკლს დიდ ხი-

ბლს მატებდა პირად ვაგნის და ნინო როტას მუსიკა“.

პრემიერას სპეციალური სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ თბილისიდან თემურ ჩალაბაშვილი - ბრწყინვალე პოეტი, სილნალისა და თბილისის საპატიო ისმოდა სცენიდან ბავშვების წკრიალა ხმები..

სპექტაკლის დასასრულს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ნონა ჯიბლაძემ, მეორე



მოქალაქე, გივი სიხარულიძე-მსახიობი, პოეტი, პროზაიკოსი. ორივე მათგანმა მაღალი შეფასება მისცა თითოეულ შემსრულებელს და მადლობა გადაუხადეს ცარო მარტიასვილს და ნანა ჭიჭინაძეს მათი მონაწილესთვის.


მხატვარი გახლდათ - აკაკი მერაბიშვილი, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნოდა მამუკა უთრუთაშვილს.

სპექტაკლი დასრულდა შექპირის 66-ე სონეტით:

აფეულაფრით დაღდილს,  
სანატრულად სიკვდილი დაძრჩა,  
რადგან მათხოფრად გადაიქცა  
ახლა ღირსება,  
რადგან არაწამ შეიფრან მერფასი  
ფარჩა, რადგან სიჭრუე ერთგულების  
გახდა თვისება,  
რადგან უღირსებს უსამართლოდ  
დადგეს დაფნა..“

საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეებსა და ამავედროულად ბერიკონის დასის წევრებს, ლამა ლათიაშვილს, თორნიკე ნაროზაულს და ანა ლოლაშვილს მიულოცა საჯარო სკოლის და თეატრალური სტუდიის „ბერიკონის“ დამთავრება და ფასიანი საჩუქრები გადასცა მათ. ასევე მადლობა გადაუხადა ჩამოსულ სტუმრებს, რაიონის ხელმძღვანელობას, პირადად გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, რომელიც ყოველთვის გვერდში უდგას ახალგაზრდობას. მადლობა გადაუხადა ასევე დამსწრე საზოგადოებას, ვინც მობრძანდა პრემიერაზე და მოსმენისა და ემოციის მაღალი კულტურა აჩვენა.

მარიამ ჯიბლაძე



## ცეკვით განფენილი ქართული გენია

ქართული მინის წიაღიდან აღმოცენებულმა, საუკუნეთა მანძილზე შენარჩუნებულმა და დღემდე მოღწეულმა ხალხურმა ქორეოგრაფიამ არნახული აღმავლობა განიცადა. ჩვენს დროში მონაწილე გავხდით ქვეყნის მთელს სივრცეში აპოკალიფური მოვლენისა: ქართულმა ცეკვამ, რომელმაც ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, თავისი უნიკალურობით და მრავალფეროვნებით მთელი მსოფლიო გააოცა.

28 ივნისს ქორეოგრაფიული ანსამბლი „შირაჟი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე გაბრიელაშვილი), საანგარიშო კონცერტით წარსდგა დედოფლისწყაროელი მაყურებლების წინაშე. კონცერტის უბადლო ნამყვანმა ცარო მარტიასვილმა ისაუბრა ანსამბლის განვლილ გზაზე. კონცერტის პირველ ნომრად სწორედ ცეკვა „ქართული“ შესთავაზა მაყურებელს მერიკო ზურაშვილის და მერაბ ფიროსმანაშვილის შესრულებით. ქართული უბადლო შემსრულებლები გახლდნენ ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი. ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარება, ტრიუმფალური წარმატებები და მსოფლიო პოპულარობა უპირველესად დაკავშირებულია სწორედ მათ სახელებთან, უაღრესად დახვეწილი დ გემოვნებით შექმნილი

სამოსი საოცარ ბრწყინვალეობას ანიჭებდა მერიკო ზურაშვილს, სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ტრადიციული ეროვნული ცეკვები: აჭარული, სამაია, ნარნარი. შთამბეჭდავი იყო ცეკვა „ქართული“ ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერიდან „დაისი“ ნიწუცა სულაშვილისა და გურამ გოგილაშვილის შესრულებით, უფროსი თუ უმცროსი თაობის თითოეული მოცეკვავე განუზომელ სიხარულს ანიჭებდა მაყურებელს. შემდეგ ნაჩვენები იქნა ფილმი „ქორეოგრაფიული ანსამბლი „შირაჟი“ სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე გაბრიელაშვილი“.

სცენა კვლავ დაეთმო ანსამბლის სოლისტებს. დიდი მონონება ხვდა წილად ქალთა ხევსურულს, ყაზბეგურს, მთიულურს, ილოურს და „შირაჟის“ სავიზიტო ბარათს - ფარიკაობას. ცეკვებს ამშვენებდა ანა ტატიშვილის და მარიამ ჯორჯოშვი-

ლის სიმღერები. ახლაც თვალწინ მიდგას თბილისის ფილარმონიის მაყურებლით გადაჭყდილი დარბაზი, ფეხზე ანდგარი 2000 მაყურებელი როგორ უკრავდა ტაშს მსოფლიოს პრიმა ბალერინას ნინო ანანიაშვილს, რიცა ილოური ცეკვა, ბრწყინვალე შესრულება გახლდათ ჩვენი ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრების მიერ წარმოდგენილი ილოურიც, გულშიჩამწვდომი მუსიკით.

ჩვენმა მოცეკვავეებმა არაერთგზის დალაშქრეს საზღვარგარეთის ქვეყნები: საფრანგეთი, თურქეთი, პოლონეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა. ათასობით მაყურებლის წინაშე დაანთეს ცეცხლი ქართული ცეკვისა და ყველას გააცნეს ულამაზესი კავკასიონის ძირას პატარა, ლამაზი ქვეყანა დათოველი მწვერვალებით, ბიბინა ველ-მინდვრებით, ზვრებით და ეკლესია-მონასტრებით.

კონცერტის დასასრულს კომენტარი ვთხოვე **მანანა ყუშიტაშვილს** „ეს იყო უდიდესი ბედნიერება, სიამაყისა და სიხარულის განცდა, რომელიც მე მხვდა წილად ჩემი რაიონისაგან ასე დამორებით. დიას, ამ წარმატებული გა-

მოსვლით ყველა ნომერი ინვევდა ჩემში დიდ ემოციას. აღმა-ატამიც გვაქვს კავკასიური ცეკვების ანსამბლი, მათ შორის ქართული ცეკვების რეპერტუარიც, რომელთა გამოსვლასაც წარმოუდგენელი ტრიუმფი ახლავს“.

**თამარ ბოსტაშვილი**: (მშობელი) უზომოდ კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი შვილები ეზიარნენ ქართული ცეკვის მადლს- ჭეშმარიტად უფლის საჩუქარია! ცეკვით განფენილ ქართულ გენიას, გაცოცხლებულ ქართულ წარსულს, უღრმესი მადლობა ბატონ ალექსანდრე გაბრიელაშვილს იმ ტიტანური შრომისათვის, რასაც ის ეწევა ჩვენი ბავშვების საცეკვაო ხელოვნების დაოსტატებისთვის.

ანსამბლი გაერთიანებული არიან არა მარტო დედოფლისწყაროელები, არამედ სოფლის საჯარო სკოლის მოსწავლეებიც: არმოშობიდან, გამარჯვებიდან, სამრეკლოდან და სხვა.

საანგარიშო კონცერტს ესწრებოდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი ნონა ჯიბლაძეშვილი და სოფელ გამარჯვების რწმუნებული გიორგი ჭინჭარაული.

ნანა ჭიჭინაძე



საბავშვო ბაღში ბავშვის ცხოვრება მოიცავს მისი დამოუკიდებელი მოქმედების პერიოდებს, რაც გულისხმობს პირად თავისუფალ დროსა და დამოუკიდებელ მხატვრულ შემოქმედებას. ამისთვის კი დღეს ჩვენ საბავშვო ბაღებში მაღალი სტანდარტები მოქმედებს და შესაბამისად, მოთხოვნაც ძალიან გაზრდილია, საკვები პრობლემის არსებობა

თად გაუმჯობესებასთან ერთად ამაღლდა სწავლა-აღზრდის დონეც. რედაქციის წარმომადგენლები ამ კვირაში ქალაქის თითქმის ყველა ბაღის გამოსაშვებ საღამოებს დავესწარით და შევეცდებით, ჩვენს მკითხველსაც შევუქმნათ წარმოდგენა, თუ რა სახის ღონისძიებები ჩატარდა იქ.

№3 საბავშვო ბაღში ნანა

სენიაშვილს ვესტუმრეთ 5-6 წლიანთა ჯგუფის გაცელებაზე. თვალცრემლიანი შემოდის ნანა მასწავლებელი და გვერდში ოქროსფერ ფორმებში გამონყობილი პატარები მოჰყვებიან. მათ ჯერ არ იციან, რომ ყველაზე ლაღი და ბედნიერი ხანა სხვა ფაზაში გადადის და ცხელი ზაფხულის შემდეგ სკოლის ზარი უხმოთ, პირველი „ბრძოლის ველიც“ იქ ელოდებოდა. მანამდე კი მათ ნანა მასწავლებელმა ბევრი რამ შეასწავლა. ამ დამავიწყებელ ღონისძიებაზე ამ ცოდნის პრეზენტაცია მოგვიჩვენეს პატარებმა. მრავლად იყო წარმოდგენილი ცეკვა - „ქართული“, „აჭარული“, „ცანგალა და გოგონა“, „მთიულური“. ისინი პედაგოგმა დასაწყისშივე პირობითად დაყო „მოსუვენებად“, „ცნობისმოყვარებად“, „მეგობრულებად“, „გონიერებად“ და „ყველაზე ჭკვიანებად“. ამ სტატუსის მიხედვით ერგოთ მათ თავიანთი ნომრები და ერთმანეთს ეჯიბრებ-



ბოდნენ ლექსის ომასიანად თქმასა თუ ინსცენირებისას მსახიობური ნიჭის გამოვლენაში. გალობისა და ხალხური სიმღერების შემდეგ არც საქართველოს ჰიმნი და ვინცებიათ, ახალმა ვიდუო რგოლმა „ჩემი საქართველო აქ არის“ კიდევ უფრო მეტი პატრიოტული განწყობა შექმნა, მეტი იმედი მომავლისა, მომავლისა, რომელსაც ხვალ და ზევ ეს თაობები გაუძლებიან და ძალიან ბევრ სიახლესა და უკეთეს პირობებს შეუქმნიან ჩვენს ქვეყანას. მათი ამ სულისკვეთებით აღზრდა კი აქედან, ამ საბავშვო ბაღის ასაკიდან იწყება. ღონისძიების დასარულს ბა-

ღის დირექტორმა მაია გონაშვილმა მადლობა გადაუხადა ნანა მასწავლებელს, თანამემწე ხათუნა მენაშვილს, მუსიკის მასწავლებელს ხათუნა ჯანაშვილს და ძიძა ნინო ლორაშვილს ამ ჯგუფში განუვლი მათი ურთულესი შრომის გამო. მან ასევე მადლობა გადაუხადა ბავშვებს და მათ მშობლებს ასეთი აქტიურობისა და გვერდში დგომისთვის ამ წლების განმავლობაში, მომავალში კი დიდი წარმატებები უსურვავ პატარა აღსაზრდელებს.

ელზა ხარაშვილი



28 ივნისს ვესტუმრეთ სამრეკლოს საბავშვო ბაღს. ღონისძიებით შეგვეგება 5-6 წლიანთა ჯგუფის პედაგოგი ჟანა მიქიაშვილი ნითელ ფორმებში გამონყობილ აღსაზრდელებთან ერთად. უთვალავი საჭაერო ბუმბუტი გასაფრე-

ნად მზადაა, ირგვლივ ბავშვების ყრამაშულია, რომლის სადარი ჯერ არაფერი არსებობს სამყაროში, ისინი თავისთავად ქმნიან კარგ განწყობას. ამ დღესაც ერთმანეთს უამრავი ლექსით, სიმღერებითა და ცეკვებით გაახალისეს

ბავშვებმა მონვეული სტუმრები. ეს მათთვის ერთი ჩვეულებრივი ზეიმი არ იყო, ამისთვის დიდხანს ემზადებოდნენ, იმასაც აცნობიერებენ, რომ უნდა დაემყიდონ აქაურობას. წინ ახალი ცხოვრების ეტაპი ელით, მანამდე კი ჯერ კიდევ დიდხანს ივლიან მშობლებთან ხელჩაკიდებულები და ნელ-ნელა შეაღებენ კარს დამოუკიდებელი ცხოვრების კარიბჭესთან, თუმცა მათ გონებაში უკვე დიდი კვალი ექნება დატოვებული გუშინდელ, დღევანდელ და მომავალ ღონისძიებებს, სხვანაირად მათი სრულყოფილ პიროვნებად ფორმირება შეუძლებელია. ძალიან ლამაზი, შემოქმედებითი გამოსაშვები საღამოს შემდეგ ბავშვებმა და პედაგოგებმა მშობლებთან ერთად საბავშვო ბაღის ეზოში გადაინაცვლეს და იქ მათი ჯგუფის სახელობის ვარსკვლა-



ვი გაიხსნა, ეს სოურპრიზი ჟანა მასწავლებელმა მოუწყო პატარებს და უამრავმა საჭაერო ბურთმაც ბაღის ეზო დატოვა, მუსიკის ფონზე ისმოდა მხიარული შეძახილები. დასასრულს ბაღის გამგემ მაკა ზურაშვილმა მადლობა გადაუხადა ჯგუფის აღმზრდელს ჟანა

მიქიაშვილს, თანამემწე ნათია თათარაშვილს, მუსიკის მასწავლებელს მაია ლეკაშვილს, ძიძა ნატო ჯავახიშვილს გუნდური მუშაობისთვის, ხოლო აღსაზრდელები თბილი სიტყვებით დალოცა და ნათელი, ბედნიერი მომავლის იმედით გააცილა ისინი.

ელზა ხარაშვილი



# ...„არ მაქვს სიცოცხლე სამშობლოს იქით“...

ღონისძიებების კვირული გაიმართა ოზანის საბავშვო ბავშვბაღში. პედაგოგებმა ქეთევან მეხრიშვილმა და სოფიო ნარინდოშვილმა, თანამემწეებთან, ნანული ფოცხვერაშვილთან და ნატო სუხიტაშვილთან, მუსიკის პედაგოგთან, მადონა ცეციტიშვილთან ერთად, საკმაოდ ლამაზი დღეები აჩუქეს პატარა აღსაზრდელებს. საქართველოს ჰიმნით გაიხსნა 3-4 წლიან აღსაზრდელ ბავშვთა ჯგუფის ღონისძიება. პედაგოგი გახლავთ ქეთევან მეხრიშვილი, თანამემწე ნანული ფოცხვერაშვილი. ჰიმნს მოჰყვა ლამაზი სიმღერა „მზის ამოსვლა გვახარებს“. შემდეგ პედაგოგი ქეთევან მეხრიშვილი ბავშვებს უსვამს კითხვას, - როგორები უნდა იყვნენ ისინი, რომ მათმა მშობლებმა და სამშობლომ იამაყოს? ბავშვები პასუხობენ, რომ უნდა იყვნენ ჭკვიანები, მეგობრულები, ზრდილობიანები, პატივი სცენ უფროსებს, კარგად ისწავლონ და იმრომონ. ადეკვატური პასუხები აქვს შემდეგ კითხვებს-სად არის ჩვენი სამშობლო? რომელია მისი დედაქალაქი? ვინ იტყვის ლექსს სამშობლოზე? „ჩემი სამშობლოს ცა არის, ყველაზე სუფთა, კრიალა, ჩემი სამშობლოს ტყე არის, მუდამ მწვანე და შრილა...“ - ამბობს ჩემი მეგობრის, პოეტ გია გარსენიშვილის შვილი, პატარა ვაჟიკო გარსენიშვილი და სულში სიხარულის ნაპერკკალი მიღვივის.

პედაგოგი განაგრძობს ღია გაკვეთლის სახით შემდგარ ღონისძიებას და კვლავ სვამს კითხვას: რომელია ჩვენი მშობლიური ენა? ვინ შემოიტანა საქართველოში ქრისტიანობა? ვინ მეტყვის ლექსს საქართველოზე? „ვისც მწვევა საქართველოს, საოცნებო სურებს, სიმღერაც რომ არ იცოდეს მაინც დაიმღერებს“ - ამბობს მარიამ გარსენიშვილი და მის ცუგრუმელთა თვალბეჭდით უკვე ამოვიცანი, თუ ვისი შვილია ეს ერთი ციცქნა ახალი სიცოცხლე. ავთანდილი კი გვიყვება: „ორ ზღვა შუა ძეგლისძეგლად, საოპარი იყო ლელო!“... ლექსს სიმღერა მოსდევს - „ეს ლამაზი მიწები“ მღერიან პატარები. მუსიკის პედაგოგი მადონა ცეციტიშვილი თავს არ ზოგავს, რომ მის მიერ მთელი წლის მანძილზე მინვლილი მუსიკალური გაკვეთილების შედეგი ამ დღისთვის ლამაზად წარმოაჩინონ ჯგუფის აღსაზრდელებმა. სიტყვები უძღურია, ყოველი პედაგოგის და ბავშვის ხსენება ჩემში დიდ ემოციებს აღძრავს, რადგან ეს ჩემი მშობლიური სოფელია და ის ჩემთვის მონატრებული ბავშვობის მოგონებებს მომკვივის... საუბარი ეხება საქართველოს დედაქალაქს, თბილისს და მის

ისტორიას, ვინ დააარსა თბილისი, რომელი ძეგლი გადმოჰყურებს თბილისს ყველაზე მაღალი ადგილიდან, რა უჭირავს ქართლის დედას ხელში, რომელი მდინარე ჰყოფს თბილისს ორ ნაწილად. ამ კითხვებზე პასუხებს მოჰყვა სიმღერა „ლეგენდა თბილისზე“. „საუკუნეები ფიცი ვატარეო, ხმლით და ტყვილით გვათხილით მტერო, სული კი არა, გულიც ვატარეო, როს მტერი გლეჯდა ჩვენს საქართველოს!“ - გადმოგვცემს ლექსის სტრუქტურას ლიზი მეხრიშვილი. ღია გაკვეთილი პატარა აღსაზრდელბებმა სიმღერით დაასრულეს, - „აქეთ წყარო მოჩუხჩუხებს... ჩვენზე უფრო ბედნიერი, აბა ქვეყნად სხვა ვინ არის?!“ შემდეგი ღია გაკვეთილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა, რომელიც პედაგოგ სოფიო ნარინდოშვი-

ლის და პედაგოგის თანამემწის ნატო სუხიტაშვილის სააღმზრდელი ჯგუფის აღსაზრდელბებმა წარმოგიდგინეს. სოფიო პატარებს ესაუბრა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის მნიშვნელობაზე. პედაგოგმა ბავშვებს გადასცა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ქართველები 26 მაისს ზეიმობენ, ეს გახლავთ ეროვნული დღესასწაული და მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლის 9 აპრილს საქართველო რუსეთისგან დამოუკიდებელ ქვეყანად გამოცხადდა, ეროვნულ დღესასწაულად მაინც 1918 წლის 26 მაისის დღე აღინიშნება. პედაგოგმა განმარტა, რომ სწორედ 26 მაისს დღის 5 საათზე და 10 წუთზე ქართველმა ხალხმა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის, აქტი, რომელიც გახლავთ პირველი ქართული კონსტიტუციური ხასიათის დოკუმენტი და რომელშიც მოკლედ არის გადმოცემული საქართველოს, როგორც სახელმწიფოს განვითარების ისტორიული პერსპექტივები, ქართველი ერის დაუოკებელი სურვილი თავად გადაწყვიტოს თავისი მომავალი ბედობალი. ღია გაკვეთილზე გადაცემული მასალა პედაგოგმა სოფიო ნარინდოშვილმა აღსაზრდელბებთან დასმული კითხვებით ამოწურა. ღია გაკვეთილი ქართული ტრედიციული ცეკვით

დასრულდა, რომელიც მარიამ კორახაშვილმა და ვანო ცეციტიშვილმა შეასრულეს. რამდენიმე დღის შემდეგ იგივე პედაგოგმა სოფიო ნარინდოშვილმა, თანამემწე ნატო სუხიტაშვილმა, გამოსაშვები ზეიმი ჩაატარეს იგივე, 5-6 წლიანთა ჯგუფში. ყველა ღონისძიებას და ღია გაკვეთლს ესწრებოდნენ სააღმზრდელი ცენტრის წარმომადგენლები. გამოსაშვებ საღამოს ასევე დაესწრნენ ოზანის სკოლის დანწყობითი კლასის პედაგოგები მერი შოუკაშვილი და ია თევზაძე. აქვე გახლდათ გამგებლის რწმუნებული სოფელი ოზანში, არონ მოსულიშვილი და სოფლის მოძღვარი დეკანოზი ლევანი. ღონისძიება დაიწყო საქართველოს ჰიმნით, ბავშვებმა ნაიკითს ლექსები, შეასრულეს ცეკვები: ტანგო, სამაია და დაისი, გათამაშდა ინსცენირებები: იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის „მგელი და კრავი“-ს მიხედვით. ბაგაბაღის აღსაზრდელბებს სკოლისკენ გზა დაულოცეს: აღმზრდელბებმა და ბაგაბაღის დირექტორმა ღია სუხიტაშვილმა. მშობლებიდან სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა მარიამ დალუნდარიძემ. ამით ოზანის საბავშვო ბაღმა ღია გაკვეთლების და ღონისძიებების კვირული დახურულად გამოაცხადა. წარმადებები და ნინსაცხა როგორც პედაგოგებს და თანამემწეებს, ასევე მათ აღსაზრდელბებს და აღზრდილებს.

ლალი მხრინიშვილი





# სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2017

# ბაქოს ტურნირზე

დედოფლისწყაროს ფრენბურთის გუნდი შამიკ მადლიანის ხელმძღვანელობით იმყოფებოდა ქ.ქუთაისში სასკოლო ოლიმპიადაზე (საქართველოს ჩემპიონატზე), სადაც დაიკავეს მე-2 ადგილი. დედოფლისწყაროს გუნდმა (1-ლი სკოლა) ფინალური შეხვედრა წყალტუბოს გუნდთან დათმო. მანამდე პირველი სკოლის მოსწავლეებმა დაამარცხეს დედოფლისწყაროს ყველა სკოლის გუნდი და გავიდნენ რეგიონალურ პირველობაზე, სადაც ასევე პირველი ადგილი დაიკავეს, შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს პირველობაზეც იმარჯვეს და ფინალშიც გავიდნენ.



(გუნდის კაპიტანი), თორნიკე ოზბეთელაშვილი, დავით ხუციანიძე, გიორგი ბაბიანიძე, ანტონ ლომსაძე, სანდრო ზურაშვილი, გიგა ცაფიაშვილი, გიორგი პოპიაშვილი.

დედოფლისწყაროს ფრენბურთის გუნდი მადლობას უხდის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს და სპორტის ცენტრის დირექტორს ავთანდილ ხუმარაშვილს დაფინანსებისთვის და მხარდაჭერისთვის. გუნდის შემადგენლობაში 8 ნორჩი სპორტსმენი შედიოდა: ლუკა ქისტაური

24-25 ივნისს დედოფლისწყაროელი მებრძოლები (მწვრთნელი გიორგი ცისკარაული) იმყოფოდნენ აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში საერთაშორისო ტურნირზე, ტურნირზე ასევე მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, ირანის და დაღესტნის გუნდები. ლევან ნიკლაურმა (70კგ 18+) გამართა პროფესიონალური ბრძოლა აზერბაიჯანელ მეტოქესთან, რომელიც ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა და ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ორი ბრძოლა გამართა ნიკოლოზ გლახოშვილმა და საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა.

ნიკა ჩიტვილიძემაც ასევე ორი ბრძოლა გამართა პირველი მეტოქე ტექნიკური ნოკაუტით პირველივე რაუნდში დაამარცხა, ხოლო შემდეგ ნახევარ ფინალში ასევე აზერბაიჯანელ მეტოქესთან ქულათა მცირე სხვაობით დაამარცხა და დაიკავა მესამე ადგილი. გუნდი მადლობას უხდის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს და სპორტის ცენტრის დირექტორს ავთანდილ ხუმარაშვილს დაფინანსებისთვის და მხარდაჭერისთვის.



## ჰინგ ბამბიბონა სპინერი?

ისეთი გამოცემა, როგორც New York Post-ია, მის გამოგონებას ინიცირებდა ქიმიკოსს კატერინ ჰეტინგერს მიანერენ, რომელმაც გამოგონება 1993 წელს დააპატენტა. New York Post-თან საუბარში გამოგონებულმა განმარტა, რომ სათამაშოს შექმნის იდეა, პირველად ისრაელში, დასთან სტუმრობისას მოუვიდა, როდესაც დაინახა, როგორ ესროდნენ ახალგაზრდები ქვებს სამართალდაცველებს. კატერინ ჰეტინგერის განმარტებით, მან სწორედ იმ დროს დაიწყო ფიქრი ისეთ სათამაშოზე, რომელიც

ახალგაზრდების ყურადღებას მიიპყრობდა და ამავდროულად, დამამშვიდებელი ეფექტი ექნებოდა. „ეს იყო ერთგვარი გზა, მშვიდობის პოპულარიზაციისთვის“. სათამაშო ახლა სხვადასხვა დიზაინით გამოდის და მსოფლიოს ირგვლივ თითქმის ყველა სუპერმარკეტში იყიდება. ამაზონზე ის 26 დოლარადაა ხელმისაწვდომი. არსებული ინფორმაციით, ჰეტინგერის პატენტის მოქმედების ვადა 2005 წელს ამოიწურა და ახლა კომპანიებს სათამაშოს წარმოება და გაყიდვა მისი ნებართვის

გარეშეც შეუძლიათ. თავად ჰეტინგერი აბობს, რომ სათამაშოს შექმნისას კომერციული მიზნები არ ამოძრავებდა, ამიტომ არ სწყინს, რომ მისმა გამოგონებამ პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, რაც პატენტის მოქმედების ვადა ამოიწურა. თუმცა, Bloomberg-მა თავის სტატიაში, ორ იურისტზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ ჰეტინგერის გამოგონებასა და 2017 წელს გაგრძელებულ სპინერს შორის თვისობრივი სხვაობაა. Bloomberg-ის განმარტებით, ჰეტინგერმა თავად იცოდა აღნიშნული სხვაობის შესახებ ამიტომ,

პოპულარული სათამაშოს პატენტზე პრეტენზია არც ჰქონია. 2017 წლის 4 მაისს, National Public Radio-ზე, სკოტ მაკოსკერის სტატია გამოჩნდა, სადაც ის ყვება თუ როგორ გამოიგონა აღნიშნული სათამაშო 2014 წელს, რათა თავის მოუსვენრობას და კონფერენციებზე შექმნილ დისკომფორტს გამკლავებოდა. ონლაინ მოთხოვნების გაზრდის შემდეგ, მან მოწყობილობის გაყიდვა დაიწყო.



**იყიდება!**  
იყიდება ან ქირავდება ბინა სარდაფით რუსთაველის ქ. №44, კორპუსი №44, მე-5 სართული. განყოფილი მეტალო-პლასტმასის კარფანჯარით, მონესრიგებული ვანა-ტუალეტით, ცხელი-ცივი წყლით, გაზის გამათბობელით.  
☎ 577 111 594

**„არჩევანი“ მომხმარებელს ფართო არჩევანს სთავაზობს**

ქალაქ დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე, №4-ში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების ახალი მაღაზია „არჩევანი“. „არჩევანი“ მომხმარებელს აძლევს ფართო არჩევანის საშუალებას. აქ შეგიძლიათ შეიძინოთ მოზარდისა თუ უფროსი ასაკის ადამიანებისთვის გემოვნებით შერჩეული ტანსაცმელი, მამაკაცის მაისურები, ქალის ჩანთები, აგრეთვე, ელექტროტექნიკის საშუალებები, ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი ე.წ. საჩუქრები, ბიჟუტერია, პარფიუმერია და ა.შ. მისაღებ ფასებში.  
**მაღაზია „არჩევანი“ მომსახურების მაღალ სტანდარტს სთავაზობს მომხმარებელს და ყოველდღიურად ელის მას.**

| ამინდი         |                 | დედოფლისწყარო   |                 | საბურთალო       |              | საბურთალო   |      | საბურთალო |      | საბურთალო |      |
|----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|--------------|-------------|------|-----------|------|-----------|------|
| ორშაბათი 03.07 | სამშაბათი 04.07 | ოთხშაბათი 05.07 | ხუთშაბათი 06.07 | პარასკევი 07.07 | შაბათი 08.07 | კვირა 09.07 |      |           |      |           |      |
| დღე            | ღამე            | დღე             | ღამე            | დღე             | ღამე         | დღე         | ღამე | დღე       | ღამე | დღე       | ღამე |
|                |                 |                 |                 |                 |              |             |      |           |      |           |      |
| 28°            | 27°             | 30°             | 27°             | 31°             | 26°          | 27°         | 26°  | 26°       | 19°  | 18°       | 17°  |

გამომცემელი შპს „შირაჟი“  
დირექტორი ინგა შილაშვილი  
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლევია: ლალი მახრიშვილი, ილია მარტყოფიშვილი (ყურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათია ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).  
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაჟის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.